

ლოქსნუმი

გაზეთი გამოდის
1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დემუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№18 (6393) 12 თებერვალი სამუშაოთი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის

გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის გადსვლის პირველი ეტაპის ამოცანების გადასაჭრელად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად აღდგენ:

1. შემოღებულ იქნეს გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე გადასვლის შემდეგი წესი:

1. გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე გადასვლა განხორციელდეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით. მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი მმართველობის ორი დონე: მმართველობის პირველი დონე, რომელსაც ქმნიან სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი სტრუქტურები, და მმართველობის მეორე დონე, რომელსაც ქმნიან რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში ინიშნებიან პრეფექტები და იქმნება პრეფექტურები.

2. რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტების (პრეფექტურების) ძირითად ამოცანად დაისახოს გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე თანამდებარეული გადასვლის უზრუნველყოფა „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქარ-

თველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტურების ჩამოყალიბებამდე მმართველობის ფუნქციები შესრულონ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომელთა საქმიანობას წარმოადგენს პრეფექტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები დაქვემდებარებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი რაიონის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის პრეფექტის დანიშვნის დღიდან. სოფლის (დაბის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და თავმჯდომარეებმა მუშაობა განაგრძონ საკრებულოთა არჩევნების ჩატარებასა და შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე.

4. ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო მართვის ან კონტროლის ფუნქციებს სოფლის (დაბის), რაიონული ქალაქისა და ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე, დარჩნენ რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დაქვემდებარებაში და

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
წ. გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 4 თებერვალი.

პროგნოზი თავდაცვის ფონდში

დღეს ეროვნული თავდაცვის ფონდის აუცილებლობაში იჭვი აღარავის ეპარება. რაიონის აგრამრეწვანეში გახსნილ მე-700 ანგარიშზე დღითიღლე იზრდება ეროვნული თავდაცვის ფონდში შენატანები.

რაიონში თითქმის არ რჩება წარმოება თუ დაწესებულება, რომელსაც თავისი

შრომის საზღაურიდან დანაზოგი არ გაეღოს ჩვენი ერის დაცვისა და გადარჩენის ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. ამას წინათ ალბანის საუბნო საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა 600 მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში, რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში 200 მანეთი, კოოპერატივმა

„სიასლეში“, რომლის თავმჯდომარე თ. ქარსელაძეა—250 მანეთი, დამზადების გაერთიანების თანამშრომლებმა—580 მანეთი, კულტურის განყოფილების თანამშრომლებმა—650 მანეთი.

სულ თავდაცვის ფონდის ანგარიშზე რაიონის შრომელებმა 18000 მანეთი შეიტანეს.

საქართველოს

რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს

პრეზიდიუმი

დადგენილება

გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედო შემოღების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღდგენ:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებული იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

წ. გამსახურდია

ჩვენი სიყვარული მოვიდა...

ნუ მივატოვებთ

მოქმედს

უკიარს სამაჩაბლოს უსახლო-კაროდ ღარა ბევრი ქართველი, ბევრი თბილისში გაიხიზნა. მათთვის ახლა მცირე დახმარებაც დიდად ფასობს. გთხოვთ შეეწიოთ გაჭირვებულ ქართველობას სურსათ-სანოვანით, ტანსაცმლით, თეთრეულით, სარეცხი საშუალებებით, ფულით, თქვენი შენაწირი შეგიძლიათ მოიტანოთ ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში 12-დან 18 საათამდე ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა.

გზარდადეთ ღმერთი! ლტოლვილთა დახმარების საინიციატივო ჯგუფი. ეს განცხადება რედაქციაში სპარტაკ კვირკაშვილმა მოიტანა

მეცა გაუზიარე მოვა...

მზრუნველობენ ტექნიკას

ირგმლიმ ყველაფერი თოვლის საბურველშია გახვეული, მაგრამ ჩვენთან თოვლის საფარი არც ისე მაღალია, რომ გაზაფხულმა დააგვიანოს. ახლა სოფლის მშრომელთა უპირველესი საზრუნავი საგზაფხულო ტენისათვის ტექნიკის მომზადებაა.

ჩხუტელის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობების დამზადების მოლოდინში ტრაქტორისტებს ტექნიკის დატაცება-დასაყუთრება აზრადაც არ მოსვლიათ, პირიქით, გააძლიერეს მზრუნველობა მექანიზმებისადმი და ყოველთვის მზად არიან, რომ მიწათმოქმედებაში თვინის სიტყვა თქვან.

ახლა, როცა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გაძლიერდეს ჩვენი ეკონომიკა, ორგანიზებულად წარმოართოს საგზაფხულო სამუშაოები, სოფლის მეურნეობაში დაინერგოს სანარდო იჯარა, მკაცრი კონტროლი დაწესდეს სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესრულებაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექნიკის მზადყოფნას, მექანიზატორთა კეთილსინდისიერ მომსახურებას ენიჭება. ჩხუტელის კოლმეურნეობის ტრაქტორისტებს—შოთა გვიდიანს, იური მეშველიანს, შოთა ლაყევიანს, მაღალი პროფესიული დონე და შრომითი

გამოცდილება აქვთ.

ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ უმძიმეს პერიოდში, მექანიზატორებს გათავისებულნი აქვთ სათანადოგონი წაწილების მომარაგების მხრივ არსებული სიმწიფეები და ერთმანეთის თანადგომით და დახმარებით ცდილობენ თვითონვე, საკუთარი ძალებით გაარემონტონ ტექნიკა, რაც შეიძლება გასარდონ მისი ექსპლოატაციის ვადა და საქმე ისე მოაწყონ, რომ საგზაფხულო სამუშაოები შეუფერხებლად წარმოართონ.

სწორედ-მათი დამსახურებაა, რომ ორი სასანი ტრაქტორიდან ერთი მზადყოფნაშია, ხოლო მეორე ტრაქტორის ძრავა წყალტუბოში აქვთ შესაყებლად წაღებული და 2-3 დღეში ამოიტანენ, მესამე ტრაქტორი დანიინია და საქიროების შემთხვევაში მისი სახნავად გამოყენება აქვთ განზრახული.

მექანიზატორებს მომზადებული აქვთ ფარცები, გუფნები და ყოველმხრივ მზადყოფნაში შეხედებინ მოატლობულ გაზაფხულს.

თ. ქარსელაძე.

სრულყოფილი

საბჭოთა

ურთიერთობანი

ბრიზუნა

სამეზაოს ვკოვნიკი
კარგან

სამართმელის რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ მიიღო დებულება საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ. დებულება საზოგადოებაში სხვადასხვა რეზონანსი გამოიწვია. გუშინ ხომ ბევრგან მიიღეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობების ლიკვიდაციისა და გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის შესახებ. პოლიტიკურმა პროცესებმა, განუყოფლობამ, უბატონობამ, უკონტროლობამ, ქაოსმა შექმნა პირობები, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიიტაცა მიწები, ტექნიკა, პირუტყვი. არ შეიძლება გული არ გეტყოს ჩვენი რაიონის საზოგადოებრივი ბალენანების გარკვეული მასივების შემყურეს, რომელიც გადაზრულ-განადგურებულია, გაძარცვულ-გაპარტახებულია ფერმების შენობები, სხვა საზოგადოებრივი ქონება. არანაირი სამუშაოები არ წარმართულა შემოდგომა-ზამთარში. ახლა გაზაფხული კარგა და ღმერთმა არ იცის ბევრგან სად არის ჩვენი ტექნიკა, მუშა-გაწვევი ძალა, არ არის თესლი, სასუქები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გაშოსვლაში უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე ხაზგასმულია: „დაუშვებელია პროცესების ასე თვითღონებაზე მიშვება, უნდა შეწყდეს სახელმწიფო ქონების დატაცება-განაწილება, აღიკვეთოს საზოგადოებრივი მეურნეობების თვითნებურად დაშლა.“

მიწის საკითხი საქართველოს მომავლისათვის სასიცოცხლო საკითხია, რომლის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია უამრავი სხვა პრობლემების მოგვარება. საქროა შეიქმნას სოფლად ისეთი ურთიერთობები, რომლებიც იქნება სტაბილური, სამართლიანი და ქვეყნისათვის სასიკეთო სიხლის მომტანი.“

დღეს ჩვენს გაპარტახებულ სოფლის მეურნეობას, ეკონომიკას სჭირდება ისეთი მექანიზმი, ისეთი ოპტიმალური ფორმა, რომელიც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობის სურსათით მომარაგებას, შექმნის პროდუქტს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენს კლდინირებდეთ საკვშირო თუ საერთაშორისო ბაზარზე. ასეთ ფორმად უზენაეს საბჭოს მიიჩნია იჯარა.

ამჯერად
სხვა გზა
არ არის

სანარდო იჯარა, რომელმაც აუცილებლად უნდა დაინტერესოს მეიჯარეც და მოიჯარეც. ამ გარდაუვალ ეტაპზე ყველა კეთილშეგონებული, პატრიოტი ქართველი გაგებით მოეკიდება ამ დებულებას.

ჩვენი რაიონის პირობებში აუცილებელია ამ დებულებიდან გამომდინარე ჩვენი მცირე მიწების, მთის რელიეფის, სპეციფიკის შესაბამისად საიჯარო ფორმის დახვეწა-შემუშავება, ორივე მხარისათვის მოსარგებლად წარმართვა.

ამიტომ ამ ეტაპზე, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ამბობს, სოფლად, უნდა შევიწარმოოთ რენტაბელური მეურნეობები, შემდგომ ეტაპობრივად კოლმეურნეობებს თანდათან შეცვლის სასოფლო კოოპერატივები და გლეხთა მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობას კი საზოგადოებრივი მეურნეობები.

აუცილებელია ახლა გაზაფხულს შევხედოთ მობილიზებული ყველა მოიჯარე ოჯახს უნდა აეუხსნათ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენები.

ნარე მოვლენები. სიძნელები, ის, რომ დღეს განუყოფელია პირადი და საქართველოს ინტერესები, თუ მოწვეული პროდუქციის ნაწილი საქართველოს არ მიეცემა, ფეხზე არ წამოვყენებდნენ გლეხური სოფლის მეურნეობა, ფარულ-ტარილს არავინ გამოგვიწვდის თანამშრომლობის ხელს.

ახლა თითოეული მეურნეობის, სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა დეტალურად უნდა ჩაატარონ მიწების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მრავალწლიანი ნარგავების, პირუტყვის ინვენტარიზაცია, თითოეული მტკიცე ნიჭი კონტროლზე უნდა ავიყვანოთ, რომ მაქსიმალური ფაქტობა ნოვაციის საქართველოსა და მუშაკების სასარგებლოდ.

იჯარა რაიონის სოფლის მშრომელთათვის უცხო ხელი არ არის. ამ ფორმით მუშაობის საკმაო გამოცდილება გვაქვს და არც იყო ვინმე უკმაყოფილო.

მეიჯარე ამბარებს რა მიწას, საძოვარს, სახნავს, სათიბს, ბაღს და ა. შ. მოიჯარეს, თავის მხრივ უზრუნველყოფს სასუქებით, კომბინირებული საკვებით, საშენი ნასაღებით, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, სხვა დახმარებით. ასე რომ, ამ ფორმით არც ერთი მხარე არ ზარალდება, პირიქით.

დღეს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ექსტრემალურ პირობებში უხდება მუშაობა. ამას ერთის უმძიმესი მდგომარეობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მძიმე მენეჯერობა, რაც მან წარსულისაგან ჩაიბარა. ამიტომ გვძირკვით გვერდში ამოვუდგეთ მას დიდი ეროვნული საქმეების განხორციელებაში. ერთსულოვნება, თავდადება ურომა, დიდი მოთმინება და ეროვნული თვითშეგნება ამისთვის სჭირთ.

მ. ქნელაძე.

პატივცემულო რედაქტორ!

თქვენ იმითმ მოგმართავთ და ველით დახმარებას, რომ ჩვენი ორგანიზაციის შეფერხებული მუშაობისათვის თქვენი გაზეთის ფუტლებიდან ბევრჯერ გვიგემა უმადურობის ნიღვარი, ბევრჯერ ლანძღვა და გინებაც კი, არც ფელეტონი დაეცლებია.

ახლა მობრძანდით ვინც ჩვენს გულისწყრომას წაიკითხავთ და ნახეთ რა პირობებში გვიხდება მუშაობა. წარმოიდგინეთ ღამით, როცა ყინვამ 12 გრადუსს გადაჭარბა, იჯდე ცივ აბრატთან ატეხსში თუ რადიოსადგურში, კომპუტატორთან თუ ტელეგრაფში და შენს მოვალეობას ასრულებდე.

წერილს ხელს ვაწერთ კავშირგაბმულობის რაიონული კანძის ერთი ცვლის მუშაკები:

- გ. გვირგანი, თ. ირმაძე, გ. გოლათიანი, ლ. ფრუიძე, მ. ასათიანი, ა. ფრუიძე, ლ. გოგიაძე, ლ. ჩიქოვანი, რ. შაჰაზულიანი, ნ. სიდაგაძე, ც. ურთიშელიანი, ნ. ხადაგიაძე, თ. სილაგაძე, ი. ასათიანი, ი. ჩაგვაძაძე, ნ. მიქაძე, თ. გასვიანი, კ. ჩიქოვანი, გ. ბვილიძიანი, ნ. ჯიბაძე, მ. დოლაგიაძე.

(სულ 26 პაცი).

მილიციის პრიორიტეტული როლი

პირველად წინააღმდეგ ჩადენილი 80 ათასამდე მძიმე დანაშაულია რეგისტრირებული ქვეყანაში 1990 წელს—12 პროცენტით მეტი წარმადელთან შედარებით. რა ღონისძიებებს ახორციელებს ამასთან დაკავშირებით მილიცია? ამ კითხვით მიმართა საუდის კორესპონდენტმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, მილიციის გენერალ-მაიორს ბ. ბ. ძიოვს.

—საზოგადოებაში მზარდი დაძაბულობა, რაც სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, საქონელსა და მომსახურებაზე ტოტალურმა დეფიციტმა, ფასების ზრდამ და ინფლაციამ, კანონების დეფლაცია და სხვა მრავალმა ფაქტმა გამოიწვია. უშუალოდ აისახება პიროვნებათშორის ურთიერთობის ბაზაზე, რაც უახლოეს დროში საზოგადოებრივი და პირადი უსაფრთხოების დეფიციტის შენარჩუნების პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

უკანასკნელ წლებში გაზრდა მასობრივი დანაშაული, რომლებიც

ჩადენილია ეროვნებათშორისი კონფლიქტების დროს, რომელთა შედეგად დაიღუპა ასობით და დაჭრილია ათასობით ადამიანი. იზრდება ძალმომრეობითი დანაშაულის ხვედრითი წილი, რომლებსაც დანაშაუთა ჯგუფები სჩადიან. ისინი სულ უფრო მობილური და შეიარაღებული ხდებიან. მატულობს მათი თავხედობა და სიმკაცრე. უკანასკნელ წელიწადნახევარში ქვეყანაში ორი ათასზე მეტი ორგანიზებული დანაშაუთა ჯგუფი გამოავლინეს.

სისხლის სამართლის სამმართველოს აპარატის მიერ შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა სამსახურებთან და დაინტერესებულ უწყებებთან, უპირველეს ყოვლისა პროკურატურასთან ერთად განხორციელდა ორგანიზებულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი პიროვნების წინააღმდეგ მძიმე დანაშაულთა ბრძოლის აქტივიზაციის მიზნით. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებები ჯერ კიდევ საკმარისად შედეგიანი როდია. დამატებით გამოყოფილი საშტატო ერთეულთა ხარჯზე განხორციელდა განმტკიცდეს შინა-

გან საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამმართველოების ქვედანაყოფები, რომლებიც სპეციალდებიან პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის გახსნაში. ეს, როგორც ჩვენ ვამედონებთ, ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა ორგანოების რეალურ შესაძლებლობათა შორის შეუსაბამობის აღმოჩენას პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულების აღკვეთისა და გახსნის და მისი რაოდენობის ზრდის საქმეში.

ასეთ დანაშაულობათა პროფილაქტიკის მიზნით შექმნილია ოპერატიულ-საგამომძიებლო ფორმირებები, რათა რეაგირება მოახდინოს ეროვნებათშორისი კონფლიქტების შედეგებზე. გახსნას ამ დროს ჩადენილი მკვლელობები და სხვა დანაშაულობანი, რომელთაც მოჰყვა მსხვერპლი და ადამიანთა დასახირება. სრულყოფილი ხდება სპეციალიზებული ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფების საქმიანობის ეფექტიანობა რთული შენიღებული მკვლელობების გახსნისა და გამოძიების საქმეში.



სამართმელთა თბილისში ახალმოსახლეობა იზიმა ხელოვნების კოლექტმა, სასწავლო პროგრამაში ისეთი საგნები, როგორცაა ეთიკა, ესთეტიკა, რელიგიის ისტორია, ხელოვნების ისტორია, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, რიტორიკა, კოლექში მოქმედებენ უცხო ენების გაძლიერებული სწავლების ჯგუფები: ყველაზე უნარიან ბავშვებს სტაჟირებისათვის უცხოეთში აგზავნიან. სწავლების მეათე წელს ბავშვებმა უნდა აირ-

ჩიონ პროფესია თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, ფერწერის განხრით და გულმოდგინედ ემზადონ არჩეულ სპეციალობაზე უმაღლეს სასწავლებელში შესასვლად. ამაში მათ გამოცდილი მასწავლებლები დაეხმარებიან. სურათში: ქორეოგრაფიის გაკვეთილს ატარებს პედაგოგი მენდიკო ქორეოლიანი. ბ. დვალისმილის ფოტო. (საუდისის ფოტოქორიკა)

ქრისტიანობა და საქართველო

დღეს საქართველო და ქართველი ხალხი ისტორიის სამატარეო დღეებთან დგას. ქართველმა ხალხმა იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად მიიღო აკრძალული უფლება, შეიძინოს თავისი კეთილშობილი არსებობა, გაიზარდოს და დაიბრუნოს თავისი ისტორია, რაც საწინდარია მისი ბუნებრივი და ლოგიკური ეროვნული სულიერი გაზრდისა, მომავალი ვითარებისათვის. ბედისწერის იდუმალ წიაღში მიფარული პერსპექტივებისა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ხელახლა ამოვყიფოთ ქართველი ერის მატარის ისტორიები, რომლებიც ასახევენ ქართველი ხალხის ქრისტიანობის გზაზე შედგომას.

ჩვენი ვაზეთი „ქრისტიანობა და საქართველო“ ამ რუბრიკით შევძლებ წერილებს, რომლის ავტორია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დინიზა სუმბაძე.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ მონაკვეთში მეფე მირიანის გამეფება აღწერილი. ეს არის დასასრული ქრისტიანული მესამე საუკუნისა, ანუ იმ დროისა, როდესაც ჭერ კიდევ არ არის გასული სამი საუკუნე ქრისტეს დაბადებისა და ქვეყანაზე მოვლინების შემდგომ. იმ დროინდელი საქართველოს სატახტო ქალაქია მცხეთა, ქალაქი საუფლო კვართის საფლავისა. მეფე მირიანმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ იმ ქალაქში, სადაც მისი სამეფო ტახტია, საიდუმლოდ იმყოფება საფლავი ჭვარცმული იესო ქრისტეს სამოსლისა, პერანგის, ანუ ძველქართული კვართისა, რომელიც მცხეთელმა ბრძანებულმა იერუსალიმიდან ჩამოიტანეს. ეს გახლავთ ისტორიის ის მონაკვეთი (ქრისტეს შემდგომი მესამე საუკუნის მეორე ნახევარი) როდესაც ჭერ მირიანი არ გამეფებულა.

იმ დროინდელი საქართველოს მეფე ასფაგური სპარსეთის შემოსევას ელის. სპარსეთის სასანიანთა მეფემ, ქასრე არდაშირმა უკვე დაიპყრო სომხეთი და ჭერი ქართლზე მომდგარი ქართლის მეფე ასფაგური ოსეთში მიემგზავრება, რადგან სპარსელთა

იგი, როგორც ქართლის მატარეო გადმოგვცემს, ამ დროისათვის სულ მატარეო გოგონა ყოფილა. შვიდად შვიდი წლისა უნდა ექნა ქვეყანას, რომელსაც მეფედ 7 წლის ასული შერია ბედისწერით?

როგორც ცნობილია, მესამე საუკუნის პირველ ნახევარში, ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე სპარსეთის სამფლობელო ერთიანდება ახალი სამეფო-საგვარეულოს — სასანიანთა დინასტიის მიერ, რომელიც თავის დიქტატურას ზარათუშტრას — მაშაპასის

ოკლდითან, რომელმაც აწამა საქართველოს დიდი წმინდანი — წმინდა გიორგი და რომელიც ქართველებმა თავიანთ ხატებში წმინდა გიორგის მოკლული გველეშაპის სანაცვლოდ დახატეს. კეისარმა დიოკლეტიანემ დაამარცხა სპარსეთის მეფე ნარსე და 298 წელს ქალაქ ნიზინში დადებული ხელშეკრულებით იბერია რომის მფარველობის ქვეშ დარჩა. ქართლის ცხოვრება დაწვრილებით გადმოგვცემს ქრისტეს შემდგომი მესამე საუკუნის მეორე ნახევრის იბერთა ქვეყნის

წყალობა და ვითხოვთ მისგან ძე მისი მეფედ ჩუენდა და ვმედრნეთ, რათა შევრჩევიყოთ ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისა (ქართლის ცხოვრება).

საქმე ესება სპარსეთის მეფის, ქასრე არდაშირის პატარა უფლისწულს, აბეშურას თანასწორს — შვიდი წლის მირიანს, რომელსაც სპარსულად მიჰრან ჰქვია, ხოლო ქართულად მირიან.

სპარსეთის მეფის შეუწყნარებია ვერდება ქართველთა და კარგად გამოუყიფოვან წარმომავლობა ასფაგურის ასულისა: გვარნათესაობა ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ფარნავაზიანთა და მოსულა მცხეთაჲ. სასპეტი მათეანი შეგებებია სამოყვრად და სარძლოს სანახავად მოსულ სპარსეთის მეფეს.

„მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშვილდით, რომელსა ერქუა აბეშურა — წერს მემკრიანე — და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თავისასა, რომელი მუნ თანა ჰქუა შვიდისა წლისი ნაშობი მხეცლისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან“.

აღსანიშნავია, რომ მეფეს საპარსეთისა თან ხლებია დედაც მირიანისა, მაგრამ იმხელა სიყვარულით უყვარდაო დედოფალი მეფეს, რომ მიუხედავად მირიანის ესოდენი მცირეწლოვანებისა, დედა შვილისათვის ვერ დაუტოვებია.

ასე ავიდა საქართველოს ტახტზე შვიდი წლის ყრმა უფლისწული სპარსეთისა მომავალში მოიქცეულთა სწორობას მიახლოებული და ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფე — მირიანი.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე

თავდასხმის მოსაგერიებლად და მტრის გასადევნად მხედრობის შემომატება და ქართველთა ჭარის გაძლიერებაა საქირო. მტერი კარზეა მომდგარი — ლაშქარი საქართველოსი და ლაშქარი სპარსეთისა ერთმანეთს უნდა შეებნენ. ამ საბრძოლო შემართების დაძაბულ ვითარებაში ოსეთს დაიღუპა საქართველოს მეფე ასფაგური.

დაოხლებული, უბატონოდ დარჩენილი ჭარი და ხალხი, ტახტის ერთადერთი მემკვიდრის ასფაგურის ასულის — აბეშურას ანაბარა აღმოჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს ბედისა და საერთოდ ქვეყნის ვითარება, კიდევ უფრო მძიმე და გზაჩაკეტილი აღმოჩნდა. საქართველოს მეფეს აბეშურას არ შეეძლო თავად ეტვირთა სკიპტრა მამისა და ჭვარი მეფობისა.

ეული ეროვნულ-სარწმუნოებრივი რელიგიური მოძღვრების ე. ი. ცეცხლთაყვანისმცემლობის აღორძინება-განმტკიცებით იწვევს და ამრიგად, ახალი შინაგანი რელიგიური აღმავლობითა და სახელმწიფოებრივი მომძლავრებით ქრისტიანობის გზაზე შემართულ რომის იმპერიაზე სამეტოქედემგზადება. ხოლო სპარსეთის უწინარესი საფიქრალია რომის ბატონობას გამოაცალოს აღმოსავლეთის სამხრეთი საზღვარზე მდებარე შორეული საყრდენი — ქვეყანა იბერთა. მაგრამ სპარსელებს არ უმართლებთ ეს აღსევნება, არ უმართლებათ სასანიანთა მოღვაწის პირველი ვნება — დაეპატრონონ და ხელში ჩაიგდონ საქართველო. საოცარია ისტორია! სპარსეთის ბრძალებსაგან იბერიას იხსნის სწორედ ის კეისარი რომის იმპერიისა — დი-

ვითარებას, როდესაც სპარსეთმა, იბერიისაკენ დაძრულმა, უკვე დაიპყრო სომხეთი და სადაც არის იბერია უნდა აიღოს, რომ მეფე და სარდალი მისი ასფაგური სპარსთა უკუხატვრად და მოსაგერიებლად უკვე ყალყზე შემდგარი იბერთა ჭარისა, იღუპება. ქართლის ერისთავები მცხეთას შეიყრიან თავს და მათეან სასპეტის წინააღმდეგობით ქართული თავმოყვარეობისათვის ეგებ სევდიან, მაგრამ ერის გადასარჩენ, ერთადერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

„აღუღია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქუეყანისა, არაჲნი არს ჩვენ თანა წინააღმდეგობი მისი და დარჩენილ ვართ ჩვენ ობლად, ვითარცა ცოვარნი უმწყემსონი. აწ ესე არც განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსეთსა მოარჩილება და ვითხოვოთ მისგან

ჩვენი გზები დაგლობათ

სამთავისსახლოში ძმადა შენიანი რომ ყველაზე ძვირფასია, დამეთანხმებით და რა მძიმეა, რომ ასეთი ახლო ბელი მოულოდნელად ავად გავიხდება. მშობლიურ სოფელ ისუნდერში მარტოღო მარტო მცხოვრები ჩემი ძმა სამა ანდრეას ძე გოლეტიანი უეცრად ცუდად გაგვიხდა. საჭირო გახდა ცოცხლის საავადმყოფოში გადმოყვანა და ჩაქვილი თიქრის სასწრაფო ოპერაცია.

გაგომარება მძიმე იყო. ქირურგ ალუდა ზურაბიანის ხელმძღვანელობით გაკეთდა ოპერაცია დიდი სიფრთხილით, ცოდნით, გულისყურით. ვერ გამოიმთქვამს მადლიერება ახალგაზრდა ექიმების გია ხაბუღიანის, გია სანიკიძის, საოპერაციო დის დოლო ბენიძის, ქირურგიული განყოფილების ყველა ექთნისა და სანიტრის მიმართ, რომელთაც ძმა გადამირჩინეს.

ჩემთვის დაუფიქრარია მათი თავდადება, გულსხმეობა, ყურადღება. ავადმყოფისადმი ასეთი სითბო და თანადგომა ჭანმრთელობის დაცვის ყველა ობიექტსა და სტაციონარში როდი იგრძნობა.

დავლოცავ თქვენს მარჯვენას, გულს. მემამყება თქვენი!

ნინა გოლათიანი.

საქეცები მცენარეების სამეურნელო მნიშვნელობა

დღეს მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში ძალზედ გართულებულია ეკოლოგიური მდგომარეობა. იჩენება მცენარეთა საფარი, მათ შორის ძვირფასი ნაყოფის მომცემი მცენარეები, რითაც მცირდება ჩვენი საარსებო საშუალებანი. საქირო განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მცენარეთა ისეთი სახეობების დაცვას, გაშენებას, რომლებიც დღესაც და მომავალშიც მეტად კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენენ ქვეყნის სასურსათო და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო მცენარეა შინდი. იგი ბუნებაში გავრცელებულია ბუჩქის ან 2-5 მეტრი სიმაღლის ხე-მცენარის სახით. მსხმოიარობს 3-4 წლის შემდეგ, მცენარე 250-300 წელიწადს ცოცხლობს. შინდი დიდ ფართობებზეა გავრცელებული საქართველოში, გვხვდება ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში, ხარობს და მსხმოიარობს ზღვის დონიდან 1200-2000 მეტრ სიმაღლეზე, თითქმის ყველა ნიადაგზე.

მისი ნაყოფი გამოირჩევა სასარგებლო ნივთიერებათა უხვი შემცველობით. შეიცავს 7-9 პროცენტ შაქარს (გლუკოზა, ფრუქტოზა), 2,5-3 პროცენტ ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ, აზოტოვან, პექტინურ და მღებავ ნივთიერებებს. ადამიანის ორგანიზმისათვის შეუცვლელი ვიტამინ-

ნის შემცველობით იგი აღემატება შავ მოცხარს და მხოლოდ ასიგობს ჩამორჩება.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ შინდის თვით ფოთლოვანი და ნაწილუქები პრაქტიკულად შეიცავს ყველა იმ ბიოლოგიურად აქტიურ და ენერგეტიკულ ნივთიერებებს,

რასაც ნაყოფი ფოთლოვან 17-25 პროცენტი მთრიმლავი ნივთიერებათა, ეთერზეთები, მღებავი ნივთიერებანი, „ც“, „პ“ ვიტამინები, ფოტოცინიები.

დიდი გამოყენება აქვს შინდის მცენარეს ხალხურ მედიცინაში. პიპოკრატე — „მედიცინის მამა“ ჭერ კიდევ მე-9 და მე-10 საუკუნეებში ჩვენს ერამდე შინდის ფოთლების, ტოტებისა და ნაყოფის ნაყენს კუჭის სამკურნალოდ იყენებდა. ფოტოცინების დიდი შემცველობის გამო ნაყენი სპოტტიფის, დიზენტერიისა და სხვა დაავადებათა გამომწვევ ბაქტერიებს. იგი რეკომენდებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სისხლნაკლებობისა და კანის დაავადების სამკურნალოდ. შინდის ყვავილის სპირტანი ნაყენი, აგრეთვე კურკის გამონახარში გამოყენებულია ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ.

შინდის ნაყოფი ძვირფასი ნედლეულია მაღალხარისხიანი

წვენების, სიროფების, უალკოჰოლო სასმელებისა და სხვა მრავალი პროდუქციის საწარმოებლად.

შინდის ფოთლებისა და ღუქებისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ვიტამინებით მდიდარი სამკურნა-

ლო-პროფილაქტიკური ჩაი, მაღალხარისხიანი თხევადი და სწრაფსნადი მშრალი კონცენტრატები. შინდის ფოთლის ჩაი გამამხნევებელი და ენერგიის აღმდგენი სასმელია.

შინდის კურკისაგან, რომელიც დაახლოებით 34 პროცენტ სხვადასხვა სახის კვებისათვის გამოყენებად ცხიმებს შეიცავს, მიიღება ყავის შემცველი უკოფინო პროდუქტი.

მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს ზრდადასრულებული შინდის მერქანს, რომელიც დიდი სიმტკიცით გამოირჩევა, არის მძიმე და მკვრივი. იგი ძვირფასი მასალაა სადურგლო და სახარატო ნაკეთობებისათვის.

ლენინში ტყეები მდიდარია შინდის ნარგავებისაგან. იგი ჩვენში ძირითადად გვხვდება ერთეული ეგზემპლარების სახით, მთის ფერდობებზე შეფენილ ტყეებში, ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე. შინდი ნიადაგს დიდ მოთხოვნებს არ უყენებს. საქმა-

ოდ გავლენას ახდენს იგი ვერ იწვევს მთავარდერძა ფესვს და ჰქმნის ძლიერ (6-8 მეტრი სიგრძის) ზედაპირულ თარაზულ ფესვთა სისტემას, რომელიც ასრულებს ნიადაგდაცვით ფუნქციას. შინდი გვხვდება როგორც ცხენისწყლის, ისე ლაქანურისა და რიონის ხეობებში. მისი ნაყოფი ძირითადად მწიფავს აგვისტო-სექტემბერში, რასაც კრეფს მოსახლეობა. მაგრამ უკანასკნელათ და ოცწლეულში შინდის ნარგავიანი საგრძნობლად შემცირდა. ამის ძირითადი მიზეზია მისი გაჩენვა როგორც შეშად ხმარებისათვის, ისე ნაყოფის კრეფისას, ხოლო მოწარმი ნარგავიანი ნაღებურდება პირუტყვისა და თხებისაგან.

როგორც აღვნიშნეთ შინდი მიეკუთვნება იმ სასარგებლო მცენარეთა რიცხვს, რომლის ყოველი ნაწილი შესაბამისი ტექნოლოგიური გადამამუშავების შედეგად მოგვცემს მაღალხარისხიან კვებისათვის სხვა დანიშნულების მრავალფეროვან პროდუქტებს. ამის გამო საქიროა მეთუარადღება დაეთმოს შინდის ნარგავობის დაცვას, ამასთან სხვა სასარგებლო მცენარეებთან ერთად შეწყერსაშიში და ეროვნულ მნიშვნელობაზე გავაშენოთ იგი, რაც ერთი მხრივ საგრძნობლად გააუმჯობესებს რეგიონის ეროვნულ ეკოლოგიურ მდგომარეობას და მეორეს მხრივ, ძვირფასი ნედლეულის წყარო იქნება კვების მრეწველობისათვის.

